

2•2011

# ანბარიში

არ უმუქლია თუ არ უნდა?  
არასრულფასოვანი გამოძიება 2008 წლის  
რუსეთ-საქართველოს ომის დროს და მის  
შემდეგ ჩადენილ დანაშაულებზე.



ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობდა მრავალ ქართულ და საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებთან 2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულებების დოკუმენტირებისა და ანგარიშის მომზადების დროს<sup>1</sup>. ამ ანგარიშის მომზადებაში კი სამმა ქართულმა უფლებადამცველმა ორგანიზაციამ შეიტანა თავისი წვლილი - კონსტიტუციის 42-ე მუხლმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) და ადამიანის უფლებათა ცენტრმა. თუმცა, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი მუშაობდა ფაქტების ანალიზზე და დასკვნების მომზადებაზე.

ამ ანგარიშისთვის მასალები მკვლევარებმა 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში შეაგროვეს; ისინი არიან: ნინო დოლიაშვილი, დათო ჯიომვილი, ნელი ქარელი, ნინო ქურასბედიანი, ქერი სარაჯი (კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან); ნინო ჯომარიძე (საია), შორენა ლათათია, ნიკა ლევაშვილი, გიორგი მარგიანი, საბა წიწიკაშვილი (ადამიანის უფლებათა ცენტრი); ოგე ბორჩგრევიჩი და სიმონ პაპუაშვილი (ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი).

ანგარიში მოამზადა ოგე ბორჩგრევიჩმა და სიმონ პაპუაშვილმა;

რედაქტირება: ოგე ბორჩგრევიჩი და გუნარ მ. ეკელოვე-სლიდალი (ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი)



ანგარიში გამოქვეყნდა უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელის, ადამიანის უფლებათა სახლისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მხარდაჭერით.



<sup>1</sup> იხილეთ 2010 წლის ივნისში პროკურატურის მიერ გავრცელებული პრეს-რელიზი [http://www.icc-cpi.int/menus/icc/press%20and%20media/press%20releases/press%20releases%20\(2010\)/pr551](http://www.icc-cpi.int/menus/icc/press%20and%20media/press%20releases/press%20releases%20(2010)/pr551)

## მიმოხილვა და დასკვნები

თითქმის სამი წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ. მრავალი წყაროს საფუძველზე შეგროვებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ კონფლიქტის დროს მძიმე დანაშაულები ჩაიდინეს, მათ შორის - ომის დანაშაულები და დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული დანაშაულებების განხილვა მის მანდატში ჯდება და ამჟამად ახორციელებს საქართველოსა და რუსეთში აღნიშნული დანაშაულებების ადგილობრივი გამოძიებების მონიტორინგს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარეებს არა აქვთ უნარი ან სურვილი რომ ეფექტურად გამოიძიონ დანაშაულებები, მას შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს სამართლიანობის დადგენა და დაიწყოს გამოძიება. მიუხედავად იმისა, რომ მხარეების მტკიცებით ადგილობრივ დონეზე ეფექტური გამოძიება მიმდინარეობს, არსებობს ეჭვები, რომ არც ერთ მხარეს არ აქვს არც უნარი და არც სურვილი ეფექტურად გამოიძიოს დანაშაულებები.

ეფექტური საგამოძიებო პროცესი სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება, ვინაიდან არც ერთ მხარეს არ შეუძლია გამოძიებები აწარმოოს საწინააღმდეგო მხარეს და არ შეუძლიათ, ითანამშრომლონ გამოძიების პროცესში. კიდევ ერთი შემაფერხებელი გარემოებაა, რომ არც ერთი ქვეყანა არ აღიარებს დანაშაულის ჩადენას და ორივე სერიოზულ დანაშაულებებში პასუხისმგებლობას მხოლოდ მეორე მხარეს აკისრებს. მართალია, საქართველომ გამოძიება დაიწყო შვიდ საქმეზე, რომლებშიც დამნაშავეები, სავარაუდოდ, ქართველი სამხედრო პირები არიან, საქართველოს პოზიცია კვლავ რჩება ასეთი: „საქართველოს პასუხი რუსეთის შეიარაღებულ თავდასხმაზე შემოიფარგლა მხოლოდ მის სუვერენულ ტერიტორიაზე, ეს ზომები იძულებით იყო გამოწვეული და იყო პროპორციული, აუცილებელი და სრულიად გამართლებული მისი კანონმდებლობით და ქართული გათვალისწინებული უფლებით, გამოიყენოს ძალა თავის დასაცავად“, - მსგავსი მიდგომა ხელს უშლის მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების ჩატარებას.

რუსეთის გენერალური პროკურატურიდან საიას-თვის გაგზავნილ წერილებში ნათქვამია, რომ რუსეთი იძიებს მხოლოდ რუსი მშვიდობისმყოფელებისა და რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებს. მსგავსი მიდგომა კიდევ უფრო დაუბალანსებელს ხდის რუსულ გამოძიებას, ვიდრე ქართულს, თუმცა, სრულად შეესაბამება ჰაიდი ტალიავინის ანგარიშში რუსეთის პოზიციას ომის შესახებ: „რუსეთი თავს არ დასხმია ადგილობრივ მოსახლეობას ან მშვიდობიან მოქალაქეებს“.

აღნიშნული დაბრკოლებების გათვალისწინებით, ადგილობრივი გამოძიებები მხოლოდ ძალიან ვიწრო პარამეტრებში შეიძლება წარიმართოს: მხოლოდ საკუთარ ტერიტორიებზე და გამოძიებენ მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულებებს. თუმცა, ამ პარამეტრების შიგნითაც კი, არსებობს შემფოთების საფუძველი, რომ გამოძიებები ეფექტურად არ მიმდინარეობს. კავკასიის რეგიონში შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით არსებული დაუსჯელობის სინდრომის გამო, სამწუხაროდ, აღნიშნული ქმედება არაა გასაკვირი.

მიმდინარე ანგარიში მიმოიხილავს საქართველოს სახელმწიფოს მიერ წარმოებულ გამოძიებას. ანგარიშის ერთი თავი ეხება საქართველოს იურიდიულ ვალდებულებას, გამოიძიოს მძიმე დანაშაულებები, რომლებიც ნათლად არის განხილული როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო სამართალში. შემდეგი თავი განიხილავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კავშირს 2008 წლის ომთან და მის ურთიერთობას ამ კონფლიქტის მხარე სახელმწიფოებთან. სასამართლო ახორციელებს ადგილობრივი საგამოძიებო პროცესების მონიტორინგს. თუმცა, რაღაც ეტაპზე მას მოუწევს გადაწყვიტოს, სურს თუ არა პირდაპირ ჩაერთოს ამ პროცესში.

ამას გარდა, ქართული საგამოძიებო პროცესის შესაფასებლად ხელისუფლებისგან ინფორმაციის მოთხოვნისას მკვლევართა გუნდმა ადგილზე შეამოწმა 2008 წელს სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებების ადგილები და გაესაუბრა 244 ადამიანს, რომლებმაც უკვე მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2008 წლის ომთან დაკავშირებული სარჩელებით. ყველა მოსარჩელე და სხვა რესპონდენტი იყო რუსული და სამხრეთ ოსეთის თავდასხმის მსხვერპლი. კვლევა ჩატარდა 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში. ინფორმაციის შეგროვების სამი გამოყენებული მეთოდის საშუალებით მოპოვებული ცნობის საფუძველზე მომზადდა დასკვნები.

იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება თითქმის ყველა შემთხვევაში უარყოფს იმ მტკიცებულებას, რომ ომის დანაშაულებები შესაძლოა, მათი მხრიდან იყოს ჩადენილი, გამოძიების პროცესი თავიდანვე არასწორად წარიმართა. არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, რომ ქართულმა მხარემაც ჩაიდინა ომის დანაშაულებები, განსაკუთრებით - 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში შეჭრის დროს. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2010 წლის ივლისში შეტანილი ცვლილებებით აიკრძალა საერთაშორისო სასამართლოებში, მათ შორის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, საქართველოს საკითხზე მიმდინარე პროცესების საჯაროობა; ისეთი წარმოდგენა იქმნება, რომ ხელისუფლება ცდილობს, დანაშაულებზე პასუხისმგებლობა აირიდოს და ანგარიშვალდებულების პროცესი საჯარო განხილვის ობიექტი არ გახდეს. სავარაუდოდ, სწორედ ამ საკანონმდებლო ცვლილებების გამო გვითხრა უარი საქართველოს სამართალდამცველმა სტრუქტურებმა ინფორმაციის გაცემასა და შეხვედრებზე 2010 წლის შემოდგომაზე.

ქართველი გამომძიებლები ვერ შედიან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, სადაც ყველა სერიოზული დანაშაული იყო ჩადენილი. ამის გამო საქართველოს არა აქვს საშუალება, იქ და რუსეთში, სადაც სავარაუდოდ მთავარი დამნაშავეები იმყოფებიან, თუნდაც სურვილის შემთხვევაში, ეფექტურად გამოიძიოს ზოგიერთი სერიოზული ბრალდება, რომლებიც 2008 წლის ომის დროს წარმოიშვა.

უფრო მეტიც, მოწმეებისა და მძიმე დანაშაულებების მსხვერპლთა ინტერვიუების საფუძველზე (რომლებმაც უკვე მიმართეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს და რომელთა საქმეებიც ნამდვილად ყველაზე საგანგაშო და დოკუმენტირებულ საერთაშორისო დანაშაულებებს ეხებოდა), გაჩნდა სერიოზული ეჭვი მიმდინარე ქართული გამოძიების შესახებ.

- გამჭვირვალობის/გამოძიების პროცესის შესახებ განახლებადი ინფორმაციის ნაკლებობა. არც ერთი რესპოდენტი არ იღებდა ინფორმაციას მიმდინარე საგამომძიებო პროცესის შესახებ;
- საგამომძიებო ზომების ნაკლებობა; როგორცაა - დანაშაულის ადგილზე გამოძიების წარმოება, სასამართლო და სამედიცინო ექსპერტიზის მტკიცებულებების მოგროვება და ა.შ. არსებობს ეჭვი, რომ საგამომძიებო პროცედურების სხვადასხვა ეტაპებზე რესპოდენტებს ინფორმაციასაც არ აწვდიდნენ ჩატარებული პროცედურების შესახებ; მხოლოდ გამოკითხულთა 3 %-მა განაცხადა, რომ დაკითხვის შემდეგ სხვა პროცედურებშიც მიიღეს მონაწილეობა. არავის ქონდა ინფორმაცია დანაშაულის ადგილზე ჩატარებულ საგამომძიებო პროცედურების შესახებ.
- აპლიკანტების მცირე ნაწილს (26%) დაუკავშირდა პოლიცია და დაკითხა. ის ჯგუფი, რომელიც ამ საყოველთაო სქემაში არ შედის, არიან ტყვეები რომლებიც ცხინვალის ციხეში იყვნენ 2008 წლის აგვისტოში. იმ დროს ტყვეების საკითხი მედიაში ძალიან აქტიურად შუქდებოდა და ამ ადამიანების უმრავლესობა (94%) დაუყოვნებლივ დაკითხეს, როგორც კი საქართველოში დაბრუნდნენ. თუ ვინმე ამ ჯგუფს არ მიეკუთვნებოდა, მაშინ პოლიცია მხოლოდ მათ 13%-ს დაუკავშირდა.
- გამოძიების მიერ პრიორიტეტად ჩათვლილი დანაშაულებია: 1) ტყვედ აყვანა (რესპონდენტების 94% დაუკავშირდნენ და დაკითხეს); 2) დაღუპულები (სიცოცხლის უფლების დარღვევის თემაზე განმცხადებლების 37% დაუკავშირდნენ); 3) წამება/არაადამიანური მოპყრობა (მხოლოდ განმცხადებელთა 5% დაუკავშირდნენ) და ბოლოს: 4) იძულებითი გადასახლება/საკუთრების დაკარგვა (მხოლოდ 3% დაიკითხა).

ამ 244 განმცხადებლის უმეტესობა, სავარაუდოდ, არა მხოლოდ მსხვეპლი, არამედ ჩადენილი მძიმე დანაშაულების მოწმეებიც იყვნენ და მათ საკმაოდ საჭირო ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ დანაშაულებთან დაკავშირებით როგორც რუსეთის სამხედრო ასევე სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების სარდლების, ჯარისკაცების და სტრუქტურების მხრიდან; მიუხედავად ამისა, მხოლოდ მათი 13% დაიკითხა (გარდა ყოფილი ტყვეებისა, რაც გარკვეულწილად, სხვა საკითხი იყო).

შედეგების მეორე ასპექტი არის დროებითი განზომილება. მხოლოდ რამდენიმე ინტერვიუ დაემატა 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში პირველ ნაკადში ჩატარებულ ინტერვიუებს (როდესაც ტყვეები დაიკითხა). მაშინ როცა, ინტერვიუების 69% 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართა, მხოლოდ ინტერვიუების 6% და 16% ჩატარდა 2009-2010 წწ. გამოძიების დაბალი ტემპი კითხვას ბადებს - რამდენად ადეკვატური რესურსი იყო მობილიზებული საგანგებო და საჭირო დავალების შესასრულებლად.

ჩვენი საბოლოო შთაბეჭდილების მიხედვით, ევროპული სასამართლოს განმცხადებლების სარჩელების კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია მიანიშნებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას, ნაწილობრივ, არც უნარი აქვს და არც სურვილი, აწარმოოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და შემდეგ სავარაუდოდ ჩადენილი საერთაშორისო სამართლის დანაშაულებების ეფექტური გამოძიება, რასაც ითხოვს რომის სტატუტის მე-17(3) მუხლი: „იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში დადგინდეს უუნარობა, სასამართლო ითვალისწინებს, შესწევს თუ არა სახელმწიფოს უნარი, ეროვნული სასამართლო სისტემის მთლიანი ან არსებითი მოშლის ან მისი არარსებობის გამო, მიიღოს თავის განკარგულებაში ბრალდებული ან საჭირო მტკიცებულება ან ჩვენება, ანდა თუ სხვა მიზეზის გამო არ ძალუძს სამართალწარმოების განხორციელება“.

## **შინაარსი**

<b>მიმოხილვა და დასკვნები.....</b>	<b>3</b>
<b>შესავალი.....</b>	<b>8</b>
2008 წლის აგვისტოს ომი.....	8
ჯეროვანი გამოძიების აუცილებლობა.....	10
<b>საქართველოს ვალდებულება გამოძიოს საერთაშორისო სამართლის დანაშაულებები.....</b>	<b>12</b>
ქართული კანონმდებლობა.....	12
ვალდებულება - ჩატარდეს გამოძიება საერთაშორისო სამართლის მიხედვით.....	14
<b>საქართველო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო.....</b>	<b>15</b>
სს სასამართლო და სასჯელის შეკრებითობის პრინციპი.....	15
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პასუხი 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტზე.....	17
<b>საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული საგამოძიებო ზომები.....</b>	<b>21</b>
<b>ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი ცდილობს დაადგინოს საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების ეფექტურობა.....</b>	<b>23</b>
ადგილზე ჩატარებული შემოწმება.....	23
სატელეფონო კვლევა.....	24
დასკვნა.....	29

# შესავალი

## 2008 წლის აგვისტოს ომი

ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს, როცა საქართველოს სამხედრო ნაწილებმა იერიში მიიტანეს სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონზე. მალევე რუსული ჯარი შეიჭრა რეგიონში და აიძულა ქართულ ჯარს, დაეტოვებინა ტერიტორია. შედეგად რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე კონტროლი დაამყარა. საფრანგეთისა და ევროკავშირის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაიდო 12 აგვისტოს, რომლის მიხედვითაც, კონფლიქტის პირველი ეტაპი დასრულდა. თუმცა, შეთანხმების გაფორმებით არ დამთავრებულა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები სამხრეთ ოსეთსა და ე.წ. ბუფერული ზონის სოფლებში, სადაც რუსული არმია იდგა.

კონფლიქტის მეორე ნაწილში, ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე დადებული შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მშვიდობიანი მოსახლეობა განსაკუთრებულად დაზარალდა რუსული შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე.

რამდენიმე წყაროს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ თავდასხმებს ახორციელებდნენ სამხედრო ფორმირებები. მკვლელობებს თან სდევდა მოროდორობა, ტყვედ აყვანა, ფიზიკური შეურაცხყოფა და მუქარა. ზოგიერთ სოფელში, სამხრეთ ოსეთის რეგიონში, სახლების დაწვამ და საჯარო და კერძო საკუთრების განადგურებამ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

დღემდე ოცი ათასზე მეტი ადამიანი დევნილია სამხრეთ ოსეთში საკუთარი სახლიდან, რაც 1990-იანი წლების ბალკანეთის ომების შემდეგ ევროპაში ყველაზე ფართომასშტაბიანი ეთნიკური წმენდის მაგალითია. ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი და სს საერთაშორისო სამართლის კოალიციის 2008 წლის აგვისტოს შუა რიცხვებიდან ოქტომბრამდე, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი და ავსტრიის ჰელსინკის კომიტეტი, ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების შემსწავლელი კავკასიის ცენტრი და ადამიანის უფლებათა ცენტრი გაესაუბრა დევნილებს და სოფლის მოსახლეობას ზუგდიდის რაიონში (აფხაზეთის საზღვართან), სამხრეთ ოსეთში, გორსა და ქარელის რაიონებში. ზოგიერთი მათგანი მსხვერპლი იყო, ზოგი - საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა მძიმე დანაშაულების თვითმხილველი. მკვლევარები ასევე ეწვივნენ რამდენიმე სოფელს კონფლიქტის ზონაში, რათა მოეხდინათ ჩადენილი და მიმდინარე დანაშაულების დოკუმენტირება.



ზოგადად, მათ მიერ დადგენილი ფაქტები შეესაბამებოდა მანამდე სხვა უფლებადამცველების, მაგალითად - „მემორიალის“, ადამიანის უფლებათა ცენტრის, Human Rights Watch, Amnesty International -ისა და ჰაიდი ტალიავინის<sup>2</sup> ხელმძღვანელობით ევროკავშირის სადამკვირვებლო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს. მონაცემები ამტკიცებს, რომ ომის დანაშაულები ჩაიდინა კონფლიქტის ორივე მხარემ და ქართველი ხალხის ეთნიკურ წმენდას სამხრეთ ოსეთში შეიძლება მიეცეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის კლასიფიკაცია.

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტისა და მისი პარტნიორების მიერ შეგროვილი მასალები 2008 წლის ნოემბერში გადაეცა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. მასალების დიდი ნაწილი მოგვიანებით გამოყენებული იყო არასამთავრობო ორგანიზაციების ერთიან ანგარიშში - აგვისტოს ნანგრევებში<sup>3</sup> - რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ გამოიცა 2010 წლის მაისში. ანგარიში მოიცავს ქართველი უფლებადამცველი ჯგუფების, ძირითადად - საიას და „კონსტიტუციის 42-ე“ მუხლის მიერ მოძიებულ მასალებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი განაგრძობს ომის დანაშაულების დოკუმენტირებას 2008 წლის ოქტომბრის შემდეგაც და ამჟამად ის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში დაახლოებით 101 ინდივიდუალურ საქმეს წარმოადგენს 2008 წლის ომთან დაკავშირებით. საია და „კონსტიტუციის 42-ე მუხლიც“ წარმოადგენს რამდენიმე საქმეს ევროპულ სასამართლოში. 2010 წლის მაისში, რამდენიმე ქართულმა უფლებადამცველმა ორგანიზაციამ - ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, საია და კავშირი - 21-ე საუკუნე - ჩამოაყალიბეს *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ქართული კოალიცია*, რომლის მიზანია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მართლმსაჯულების ხელშეწყობა.

---

<sup>2</sup> **Human Rights Watch:** ცეცხლის ალში; ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს. <http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames-0>  
საქართველო/რუსეთი: ერთი წლის შემდეგ, სამართლიანობა კვლავ საჭიროა <http://www.hrw.org/en/news/2009/10/01/georgiarussia-year-later-justice-still-needed>. **Amnesty International:** სამოქალაქო პირები ომის შემდეგ: საქართველო-რუსეთის კონფლიქტი ერთი წლის შემდეგ <http://amnesty.org/en/library/info/EUR04/001/2009/en> , <http://www.amnesty.org/en/for-media/press-releases/georgiarussia-conflict-counting-cost-war-return-security-and-truth-still>. ტალიავინის კომისიის დასკვნა: [www.ceijg.ch](http://www.ceijg.ch)

<sup>3</sup> [http://www.osgf.ge/files/publications/2010/Etnikuri\\_cmenda\\_English\\_WEB\\_version.pdf](http://www.osgf.ge/files/publications/2010/Etnikuri_cmenda_English_WEB_version.pdf)

## ჯეროვანი გამოძიების აუცილებლობა

ომის დანაშაულებებისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობა საერთაშორისო პრინციპია, რომელიც აღიარა ნიუმბერგის სასამართლოებმა და ასევე შევიდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტშიც. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, ჩაატარონ გამოძიება, თუკი არსებული მტკიცებულებებით დგინდება საერთაშორისო დანაშაულების ჩადენის ფაქტები. უფლებადამცველების მიერ 2008 წლის ოქტომბერში რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებისათვის გაგზავნილ რეკომენდაციებში ნათქვამია:

*საქართველოს ხელისუფლებამ:*

- *გამოიძიოს ჰუმანიტარული სამართლისა და უფლებადარღვევის უამრავი ფაქტი, რომელიც მტკიცებულების შესაბამისად, ჩადენილი იყო შეიარაღებული კონფლიქტის დროს და შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომელი მხარეა ამ დანაშაულებებზე პასუხისმგებელი;<sup>4</sup>*



ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მკვლევარი იმიებს ეგრეთწოდებულ ბუფერულ ზონაში მდებარე ქართულ სოფელ ტყვიავში, საცხოვრებელ სახლზე მიტანილ იერიშს, რომელიც 2008 წლის სექტემბერში რუსეთის არმიამ განახორციელა.

ორგანიზაციებმა მსგავსი რეკომენდაციები გაუგზავნეს რუსეთის ხელისუფლებასაც. თუმცა, ომიდან ორი წლის შემდეგაც, მხარეების მიერ ჩატარებული გამოძიებების

<sup>4</sup> <http://humanrightshouse.org/Articles/5225.html>

შედეგად ცოტა კონკრეტული შედეგია მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო გამოსვლებისას ხელისუფლება ამტკიცებს, თითქოს გამოძიება მიმდინარეობს ეფექტურად. არის ნიშნები, რომ მხარეები არ იჩენენ განსაკუთრებულ აქტივობას მტკიცებულებების ძებნისას. ქართული კოალიციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ქართველი პროკურორების მხრიდან არ გაკეთებულა ანგარიშის - „ავვისტოს ნანგრევებში“ - შესახებ საპასუხო კომენტარი მაშინ, როცა ქართველი უფლებადამცველების მიერ მოძიებული ინფორმაციით, ჩადენილია ომის დანაშაულებები, რომლებიც უფრო სიღრმისეულად უნდა გამოიძიონ შესაბამისმა ორგანოებმა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ მიმდინარე გამოძიებების ხასიათის შესაფასებლად, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტმა გადაწყვიტა. კვლევა ჩატარებინა სამი მიმართულებით: 1) სთხოვა საქართველოს ხელისუფლებას ინფორმაცია გამოძიების სტატუსის შესახებ, 2) მკვლევართა ჯგუფი გაიგზავნა გორისა და ქარელის რაიონების რამდენიმე სოფელში თვითმხილველებისა და მსხვერპლთა გამოსაკითხად, თუ რა ეტაპზე იყო გამოძიება, და 3) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 244 განმცხადებელთან მოხდა სატელეფონო გასაუბრება 2008 წლის ომთან დაკავშირებულ საკითხებზე და ასევე ჰკითხეს, რა ეტაპზე იყო მათ საქმეებზე გამოძიება ადგილობრივ დონეზე.

კვლევა და ანალიზი ჩატარდა 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში. მიუხედავად უამრავი თხოვნისა და წერილისა, რომლებიც 2010 წლის ოქტომბერში გაიგზავნა, შეუძლებელი აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლებისაგან მიმდინარე გამოძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება. 2011 წლის აპრილში, ჩვენ საბოლოოდ გადავწყვიტეთ, გამოგვექვეყნებინა კვლევის შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობისაგან არანაირი ინფორმაცია არ მიგვიღია.

# საქართველოს ვალდებულება გამოიძიოს საერთაშორისო სამართლის დანაშაულებები

## *ქართული კანონმდებლობა*

2006 წლის 16 ივლისს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის (რომის სტატუტი) რატიფიკაციის შედეგად საქართველო ვალდებულია, მიიღოს კანონი, რომელიც სტატუტის განხორციელებაში შეიტანს წვლილს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა სპეციალური თავი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელებს შემდეგი დანაშაულებისათვის:

- აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება (მუხლი 404-ე)
- მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ (მუხლი 405)
- მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შექმნა ან გასაღება (მუხლი 406)
- გენოციდი (მუხლი 407)
- კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულები (მუხლი 408)
- ეკოციდი (მუხლი 409)
- დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში (მუხლი 410)
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს (მუხლი 411)
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისი ან შიდა-სახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით ან ფიზიკური დასახიჩრებით (მუხლი 412)

- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სხვა დარღვევები (მუხლი 413)<sup>5</sup>

ღია წყაროებიდან, როგორცაა მაგალითად, ანგარიში - „აგვისტოს ნანგრევებში“, ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ იმ დანაშაულების ჩადენას, რაც მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე, 410-ე, 411-ე, 412-ე და 413-ე მუხლებში; ეს დანაშაულები ჩაიდინეს 2008 წლის აგვისტოს საქართველო რუსეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს და შემდგომ პერიოდში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლით „საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე“.



2008 წლის სექტემბერი. ქალბატონი აფხაზეთის დე-ფაქტო საზღვართან მდებარე ქართულ სოფელ განმუხურიდან ყვება თუ როგორ აიძულეს იგი შეიარაღებულმა პირებმა, დეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

<sup>5</sup> ქართული ორიგინალური ტექსტი ითარგმნა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ; იხილეთ: <http://legislationline.org/documents/section/criminal-codes>

გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში. დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარად დაფიქსირებული (სსკპ-ს 101-ე მუხლი). გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა (სსკპ-ის 103-ე მუხლი).<sup>6</sup>

### ***ვალდებულება - ჩატარდეს გამოძიება საერთაშორისო სამართლის მიხედვით***

საერთაშორისო სამართლის დანაშაულების გამოძიების ვალდებულებას ორი განზომილება აქვს: საერთაშორისო სისხლის სამართალი და საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართალი. შესაბამისი საერთაშორისო იურიდიული ნორმების მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა: ა) აღიარონ გარკვეული დანაშაულები, როგორცაა - გენოციდი, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები და ომის დანაშაულებები, როგორც ეროვნული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებები, და ბ) ჩაატარონ ეფექტური გამოძიება, როდესაც ასეთი დანაშაული მოხდება. ეს პრინციპი შევიდა მთელ რიგ ადამიანის უფლებათა შეთანხმებებში, რომლებიც ეხება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, ასევე შევიდა რომის სტატუტში.

თუმცა, გამოძიების ჩატარების ვალდებულება წარმოშობს გარკვეულ კითხვებს ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლოების ურთიერთანამშრომლობასთან დაკავშირებით, როდესაც ორივე ტიპის სასამართლოებს შეუძლიათ, განიხილოს მსგავსი დანაშაულები.

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდას საერთაშორისო ტრიბუნალების დროს სტატუტები აცხადებდნენ, რომ თითოეულ საერთაშორისო ტრიბუნალს გააჩნდა კონკურენტული იურისდიქცია ადგილობრივ სასამართლოებთან, რომლებსაც შეეძლოთ, გაესამართლებინათ ადამიანები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დანაშაულებისათვის, და რომ ტრიბუნალებს ჰქონდათ უპირატესობა ადგილობრივ სასამართლოებთან შედარებით. 7. ყოფილი იუგოსლავიის შემთხვევაში, წარმოქმნილი სახელმწიფოებს შორის მიმდინარე შეიარაღებულმა კონფლიქტმა და სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიურ ჯგუფებს შორის შორს წასულმა დამაბულობამ ნაკლებ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი

<sup>6</sup> მუხლი 103 (გამოძიების ვადა): გამოძიება გრძელდება გონივრულ ვადაში მაგრამ არა სტატუტის მიერ დადგენილ ვადაზე მეტ ხანს როგორც ეს არის განმარტებული სისხლის სამართლის კოდექსი.

სასამართლოების მხრიდან სამართლიანი სასამართლოების ჩატარებისა და დამნაშავეების დასჯის შანსი. მეორე ფაქტორი, რის გამოც საერთაშორისო მართლმსაჯულება ჩაერთო საქმეში, იყო ადგილობრივი სასამართლო პროცედურები, რომლებიც შესაძლოა, მიკერძოებული ყოფილიყო. რუანდას შემთხვევაში, „ლეგალური ინტერვენცია“ განიხილებოდა როგორც მომავალში გენოციდის შესაძლო განმეორების პრევენციის მთავარი გარანტია.

სახელმწიფოებს განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ რომის სტატუტის მიღების დროს, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოს სუვერენიტეტს და უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ სასამართლოებს, განახორციელონ მართლმსაჯულება საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულების გამო (სასჯელის შეკრებითობის პრინციპი).<sup>7</sup> მიუხედავად ამისა, თუ ადგილობრივი ხელისუფლება უუნაროა ან სურვილი არა აქვს ჩაატაროს ეფექტური გამოძიება, სს საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, ჩაერთოს იმის გათვალისწინებით, თუ საკითხი არის განსაკუთრებული სიმწვავის.

## საქართველო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

### *სს სასამართლო და სასჯელის შეკრებითობის პრინციპი*

რომის სტატუტის მიხედვით, „ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს მისი სისხლის სამართლის მართლმსაჯულება იმ პირებზე რომლებმაც ჩაიდინეს საერთაშორისო სამართლის დანაშაულებები,“ და ხაზს უსვავს რომ სს სასამართლო უნდა აბალანსებდეს ადგილობრივ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას. რომის სტატუტის შესაბამისი მუხლები (15, 17, 18 და 19) განსაზღვრავენ სს სასამართლოსა და ეროვნული სასამართლო სისტემის ურთიერთობას. ამ დადგენილებების საფუძველზე, სს სასამართლოს ეკრძალება განახორციელოს მართლმსაჯულება ისეთ გარემოებაში, როდესაც ადგილობრივი სასამართლო ადგენს სასჯელს დანაშაულზე

---

<sup>7</sup> ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალისთვის სტატუტის მე-9 და მე-8 მუხლების შესაბამისად

და ეროვნულ კანონს აქვს საკმარისი იურისდიქცია, ასევე თუ საქმე სრულად გამოძია ადგილობრივმა ხელისუფლებამ და გადაწყვიტა რომ არ სისხლის სამართლის დევნა არ განხორციელდეს პირის მიმართ.

თუმცა, სასამართლოს აქვს უფლება, მართლმსაჯულება განახორციელოს ისეთ დანაშაულზეც, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში შედის და ამდენად, გადაფაროს ადგილობრივი სისხლის სამართლის იურისდიქცია, როდესაც:

ა. სახელმწიფოს არ შეუძლია ან სურვილი არა აქვს ერთპიროვნულად განახორციელოს გამოძიება ან სისხლის სამართლის დევნა, ან მისი გადაწყვეტილება - არ დაისაჯოს დამნაშავე, გამომდინარეობს მისი უნებელობით ან უუნარობით, დასაჯოს ეს დამნაშავე; ბ. საქმის სიმძიმე ამართლებს სს სამართლის იურისდიქციის განხორციელებას მასზე. ცნებები „სურვილის არქონა“ და „უნარი არ შესწევს“ განმარტებულია რომის სტატუტის მე-17 მუხლში, რომლის მიხედვითაც:

*იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში დადგინდეს სურვილის არარსებობა, სასამართლო, იღებს რა მხედველობაში საერთაშორისო სამართლით აღიარებულ მართებული პროცესის პრინციპებს, ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ ფაქტორს, როგორც უნდა იქნას გამოყენებული:*

*(ა) სამართალწარმოება განხორციელდა ან ხორციელდება, ანდა ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება გამოტანილი იყო იმ მიზნით, რომ დაეცვა შესაბამისი პირი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან - იმ დანაშაულისთვის, რაზეც ვრცელდება სასამართლოს იურისდიქცია და რომელიც მითითებულია მე-5 მუხლში;*

*(ბ) სამართალწარმოების განხორციელების პროცესში მოხდა გაუმართლებელი დაყოვნება, რომელიც, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, არ შეესაბამება შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისთვის გადაცემის მიზანს;*

*(გ) სამართალწარმოება არ განხორციელდა ან არ ხორციელდება დამოუკიდებლად ან მიუკერძოებლად ან ხორციელდება ისეთი სახით, რომელიც, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, არ შეესაბამება შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისთვის გადაცემის მიზანს.*

*იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში დადგინდეს უუნარობა, სასამართლო ითვალისწინებს, შესწევს თუ არა სახელმწიფოს უნარი, ეროვნული სასამართლო სისტემის მთლიანი ან არსებითი მოშლის ან მისი არარსებობის გამო, მიიღოს თავის განკარგულებაში ბრალდებული ან საჭირო მტკიცებულება ან ჩვენება, ანდა თუ სხვა მიზეზის გამო არ ძალუძს სამართალწარმოების განხორციელება..*



პრაქტიკულად, სს სასამართლო ამოწმებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების ყველა ასპექტს ნების არქონისა და უუნარობის კუთხით. ეს მოიცავს გამოძიების ეფექტურობის ძირეულ შეფასებას, მიღებული საგამოძიებო ზომების მასშტაბსა და ხარისხს, სასამართლოს სამართლიანობის საკითხებს მათ შორის თანასწორობის პრინციპს, ბრალდებისა და მსხვერპლის მისაწვდომობას საქმის მასალებთან და გამოძიების ზოგად გამჭირვალობასა და სანდოობას.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია ან სურვილი არა აქვს, ჩაატაროს გამოძიება და საქმე საკმაოდ მძიმე დანაშაულს ეხება, იგი დაიწყებს გამოძიებას, თუ პროკურორის მიერ დაწყებული გამოძიება არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს.

### ***სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პასუხი 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტზე***

2008 წლის აგვისტოს დასაწყისში შეიარაღებული კონფლიქტმა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიქცია, და სასამართლო პირველად ინფორმაციას მედია საშუალებებით იღებდა. მომდევნო პერიოდში, პროკურატურა საქართველოში მიმდინარე სიტუაციაზე არსებულ ყველა ინფორმაციას განსაკუთრებით აკვირდებოდა, მათ შორის საჯარო ინსტიტუტების მიერ გავრცელებულ ინფორმაციასაც.

საქართველო-რუსეთს შორის ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის შემდეგ, საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა, ლუის მარენო ოკამპომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „საქართველო არის რომის სტატუტის ხელმომწერი ქვეყანა და პროკურატურა ყურადღებით სწავლობს ყველა ინფორმაციას მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი დანაშაულების შესახებ: ომის დანაშაულები, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული და გენოციდი, რაც შესაძლოა, ჩაიდინეს ან წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ან წევრი ქვეყნის მოქალაქეებმა, იმისდა მიუხედავად, ეს დანაშაული ერთმა პიროვნებამ ჩაიდინა თუ ადამიანთა ჯგუფმა. სხვათაშორის, პროკურატურა სწავლობს ინფორმაციას მშვიდობიან მოსახლეობაზე სავარაუდო თავდასხმის შესახებ“.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გამოყო სამი ტიპის დანაშაული როგორც განსაკუთრებით საინტერესო: მშვიდობიანი მოსახლეობის იძულებითი დევნილობა, იმუნიტეტის მქონე ადამიანებზე პირდაპირი თავდასხმა (მაგ. ცხინვალზე ქართული იერიშის დროს დაიღუპნენ მშვიდობისმყოფელები) და სამოქალაქო ობიექტების ფართომასშტაბიანი ნგრევა.

მოგვიანებით, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ პროკურატურის მართლმსაჯულების, შეკრებადობისა და თანამშრომლობის განყოფილების წარმომადგენლებს და შესთავაზეს ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა.



2008 წლის სექტემბერი. რუსი სამხედროების გამშვები პუნქტი რუსეთის არმიის მიერ დადგენილ ეგრეთწოდებულ ბუფერულ ზონაში მდებარე სოფელ ალიში.

დასაწყისიდანვე, საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ საერთაშორისო სასამართლოს სიტუაცია არ უნდა განეხილა რომის სტატუტის მე-14 მუხლის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლება აქტიურად მიმართავდა ყველა საერთაშორისო იურიდიულ ინსტიტუტს სამართლიანობის აღსადგენად. ეს გულისხმობს განაცხადების შეტანას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, იმის საფუძველზე, რომ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის რამდენიმე მუხლი იყო დარღვეული; ასევე სარჩელი შეიტანეს გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში იმის საფუძველზე, რომ დაირღვა კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის უგულვებელყოფით.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, რომელიც ამტკიცებს, რომ რჩება: „საქართველოს პასუხი რუსეთის შეიარაღებულ თავდასხმაზე შემოიფარგლა მხოლოდ მის სუვერენულ ტერიტორიაზე, ეს ზომები იძულებით იყო გამოწვეული და იყო პროპორციული, აუცილებელი და სრულიად გამართლებული

მისი კანონმდებლობით და ქარტიით გათვალისწინებული უფლებით გამოიყენოს ძალა თავის დასაცავად“.<sup>8</sup>

ჩვენთვის<sup>9</sup> ცნობილი საქმეების მიუხედავად, სადაც გამოძიება დაიწყო იმ მიმართულებით, რომ ქართველმა სამხედროებმა ჩაიდინეს დანაშაული 2008 წლის ომის დროს, საქართველოს მტკიცებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულები ჩადენილი იყო კონფლიქტის მეორე მხარის მიერ, როგორცაა რუსეთის ფედერაცია და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც მოქმედებდნენ რუსი სამხედროების დაცვის ქვეშ.

ეს მიდგომა ეწინააღმდეგება ომის შესახებ მოგროვილ მტკიცებულებებს<sup>10</sup>. თუნდაც რომ სწორი იყოს ეს მტკიცებულება, მოსალოდნელია, საქართველოს ხელისუფლებამ ივარაუდოს, რომ შეუძლებელი იქნება მართლმსაჯულების აღსრულება სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების და უფრო მეტიც - რუსეთის სამხედრო სარდლობის მიმართ, რომელიც იცავდა ამ ჯგუფებს; შესაბამისად, გადაწყვეტილება, რომ საერთაშორისო სასამართლომ განიხილოს აღნიშნული საქმე, უფრო გონივრულია.

ასეთი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ალბათ, საქართველოს ხელისუფლებას არ სჯერა, რომ საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, მართლმსაჯულება აღასრულოს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ფორმირებებისა და რუსეთის სამხედრო სარდლობის მიმართ. რადგან რუსეთი არ ითანამშრომლებს მასთან. მეორე პოტენციური მიზეზი, რის გამოც საქართველოს ხელისუფლებას ეშინია მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს, არის ის, რომ საქმის განხილვას შესაძლოა, ჰქონდეს ბუმერანგის ეფექტი, ანუ, გამოძიება მივიდეს მის სამხედრო ნაწილებამდე და პოლიტიკურ ლიდერებამდე. რომლებიც პასუხისმგებელი აღმოჩნდებიან ომის დანაშაულებისათვის და რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება შეიძლება იყოს ცალმხრივი მის პრაქტიკულ შედეგებში.

როგორც ზემოთ ვთქვით, ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციას არ მოუხდენია რომის სტატუტის რატიფიკაცია, სულაც არ ზღუდავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას მასზე, ვინაიდან დანაშაულები ჩადენილი იყო

<sup>8</sup> ტალიავინის ანგარიში, გვ. 188

<sup>9</sup> საია წარმოადგენს მსხვერპლებს სასამართლოში. დაუდგენელია, რამდენად ეფექტურია ჩატარებული საგამოძიებო პროცედურები;

<sup>10</sup> **Human Rights Watch**: ცეცხლის ალში; ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს. <http://www.hrw.org/en/reports/2009/01/22/flames-0> საქართველო/რუსეთი: ერთი წლის შემდეგ, სამართლიანობა კვლავ საჭიროა <http://www.hrw.org/en/news/2009/10/01/georgiarussia-year-later-justice-still-needed>  
**Amnesty International**: სამოქალაქო პირები ომის შემდეგ: საქართველო-რუსეთის კონფლიქტი ერთი წლის შემდეგ <http://amnesty.org/en/library/info/EUR04/001/2009/en>, <http://www.amnesty.org/en/for-media/press-releases/georgiarussia-conflict-counting-cost-war-return-security-and-truth-still> ტალიავინის კომისიის დასკვნა: [www.ceijg.ch](http://www.ceijg.ch)

სტატუტის ხელმომწერ ქვეყანაში (საქართველო). შესაბამისად, ტერიტორიულობის პრინციპი მოქმედებს ამ შემთხვევაში. უფრო მეტიც, პროკურატურის პრეს-რელიზიდან ნათელი ხდება, რომ რუსეთმა, მიუხედავად იმისა, რომ არ არის რომის სტატუტის ხელმომწერი ქვეყანა, ითანამშრომლა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან.

პრეს-რელიზი გამოქვეყნდა 2008 წლის 20 აგვისტოს: „რუსეთის ფედერაციამ ფორმალურად მიაწოდა ინფორმაცია პროკურატურას და აგრძელებს მასთან თანამშრომლობას“. პროკურატურის წარმომადგენლები პირველად 2010 წლის მარტში ჩავიდნენ რუსეთში და შემდეგ 2011 წლის თებერვალში. პროკურატურის ბოლო ვიზიტის შემდეგ, პროკურორმა განაცხადა: „ჩვენ ვაფასებთ რუსეთის ხელისუფლების ჩვენთან თანამშრომლობას და მათ სურვილს გაგვიზიარონ მათი პრიველადი დასკვნები“. მიუხედავად ამისა, რუსეთის პროკურატურიდან საია-ში გაგზავნილ წერილებში ნათქვამია, რომ ისინი იძიებენ მხოლოდ რუსი მშვიდობისმყოფელების, სამხედრო პირებისა და რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს. ასეთი მიდგომა რუსულ გამოძიებას უფრო საეჭვოს ხდის, ვიდრე ქართულ გამოძიებას, რომელმაც ფორმალურად მაინც დაიწყო გამოძიება იმ დანაშაულებისა, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩაიდინეს ქართველმა სამხედროებმა.

ტალიავინის ანგარიშის მიხედვით, რუსეთის პოზიციაა: „რუსეთის მხარე თავს არ დასხმია ადგილობრივ მოსახლეობას და არ დაუბოძავს სამოქალაქო შენობები“. ასეთი პოზიცია ხელს ვერ შეუწყობს მიუკერძოებელ და ეფექტურ გამოძიებას. პროკურატურამ ორი ვიზიტი განახორციელა საქართველოშიც - პირველად 2008 წლის ნოემბერში და მეორე 2010 წლის ივნისში. ამ ვიზიტების მთავარი მიზანი იყო ხელისუფლებიდან ინფორმაციის მიღება აგვისტოს ომის დროს სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე ეროვნულ დონეზე წარმოებული გამოძიების შესახებ. პროკურატურის 2010 წლის 25 ივნისის პრეს-რელიზში ნათქვამია: „სასამართლოს პოტენციურად გააჩნია კომპეტენცია გამოძიოს საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულები რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილი იყო საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობის იძულებითი დევნილობა, მშვიდობისმყოფელების მკვლელობა და მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმა... სავალდებულოა რომ გამოძიება დაიწყოს ამ სერიოზულ დანაშაულებში პასუხისმგებელი ადამიანების მიმართ“. პროკურატურის შემდეგი ნაბიჯები დამოკიდებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების ანალიზის შედეგებზე .

## საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული საგამოძიებო ზომები

მიუხედავად 2010 წლის შემოდგომაზე მიღებული ზომებისა, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტმა ვერ შეძლო ინფორმაცია მიეღო საქართველოს ხელისუფლებისგან მიმდინარე გამოძიების შესახებ. ჩვენი ბოლო წერილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაიგზავნა 2010 წლის 20 დეკემბერს და მასზე პასუხი ჯერ კიდევ არ მიგვიღია. როგორც ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტს აცნობეს, მიუხედავად იმისა, რომ მიდის გამოძიება, ძალიან ძნელია, მიიღო ნათელი სურათი როგორ მიმდინარეობს და რამდენად ეფექტურია ის.

არსებობს შემფოთების საფუძველი, რომ საერთაშორისო სასამართლოსთან დაკავშირებული ფაქტების გამოძიების პროცესი არაა გამჭვირვალე. 2010 წლის ივლისში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 (5) მუხლში შევიდა ცვლილება და შეიზღუდა ინფორმაციის გავრცელება იმ საერთაშორისო სასამართლო პროცესებზე, რომლის ერთი მხარე საქართველოს ხელისუფლებაა.<sup>11</sup>

საკითხავია, რამდენად შეესაბამება აღნიშნული ცვლილება საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლს (ინფორმაციის მისაწვდომობის უფლება), ვინაიდან ის არ აკონკრეტებს რა არის ინფორმაციაზე საჯარო მისაწვდომობის შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი. გვეჩვენება რომ აღნიშნული კანონი სპეციალურად ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოებას ინფორმაცია მიიღოს საქართველოს ხელისუფლებასა და პროკურატურის თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიების პროცესებთან დაკავშირებით.

ერთადერთი ოფიციალური წყარო, რომელმაც ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტს საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიების პროცესთან დაკავშირებით მიაწოდა, არის საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი, რომელიც საია-ს გაეგზავნა მათი წერილის საპასუხოდ. საია ითხოვდა ინფორმაციას ზოგიერთი პიროვნების სტატუსის შესახებ რომლებსაც ის იურიდიულ დახმარებას უწევდა (კერძოდ, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების სავარაუდო მსხვერპლთა შესახებ და არა საქართველოს მხრიდან დამნაშავეების

<sup>11</sup> მუხლი 3, პარაგრაფი 5: ამ კოდექსის III თავის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საარბიტრაჟო, უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო სასამართლოებში მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარე სამართალწარმოებასა და საქმეთა განხილვაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობასთან. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია გაიცემა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან/და ამ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოების წესების შესაბამისად“. (აღნიშნული ცვლილება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შევიდა 2010 წლის 21 ივლისს).

შესახებ), ასევე მოითხოვეს ინფორმაცია აგვისტოს მოვლენების დროს სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიების პროცესის შესახებ. მთავარი პროკურატურის წერილი, დათარიღებული 2009 წლის 18 მარტით, აცხადებს რომ მთავარი პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილ დანაშაულებებზე; უფრო კონკრეტულად კი იმ დანაშაულებზე რომელიც განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე (გენოციდი), 411-ე (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს), და 413-ე (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სხვა დარღვევები) მუხლებით.



2008 წლის ოქტომბერი. სოფელ ტყვიავის მკვიდრი უხსნის ადამიანის უფლებათა ცენტრის მკვლევარს, თუ როგორ მოახერხა ოსი შეიარაღებული პირების მიერ მის სახლზე მიტანილი იერიშისას თავის დაღწევა.

უფრო მეტიც, წერილი აკონკრეტებს ზოგიერთ საგამომიებო საქმიანობას რომლებიც გატარდა იმ პიროვნებებთან დაკავშირებით რომელთა საქმესაც საია განიხილავს. ეს საგამომიებო აქტივობებია: დაკითხვა, ჭრილობების სასამართლო ექსპერტიზა, გვამის გაკვეთა, ბალისტიკური ექსპერტიზა, სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა და დანაშაულის ადგილების შემოწმება გორში და შემდეგ სოფლებში: წერონისი, აბისი, რიუსი, ბერბუკი, დვანი, მეღვრეკისი, ტირძნისი, თერგვისი, კარალეთი, გარეჯვარი, ძევერა, შერთული, ქიძნისი, ნიქოზი, ავლევი, ახალდაბა, შინდისი, ხვითი, საქაშეთი, ლოდეთი, დიცი, ქორდი, არბო, კნოლევი, ფწა, ტყვიავი, ატოცი, ერგნეთი და ბერბუკი. საბოლოოდ, წერილი განმარტავს რომ მატერიალური ზარალის ტექნიკური შეფასება მიმდინარეობს და მიღებული იქნება მხედველობაში.

როგორც მოგვიანებით ვიხილავთ, მსხვერპლთა და თვითმხილველთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია დიდ ნაწილში განსხვავდება საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწოდებული ინფორმაციისაგან.

## **ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი ცდილობს დაადგინოს საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების ეფექტურობა**

ვინაიდან არ შეგვეძლო უფრო მეტი ინფორმაცია მიგვეღო გამოძიების შესახებ საქართველოს ხელისუფლებიდან, გადავწყვიტეთ მისი ეფექტურობა დაგვედგინა 2008 წლის დანაშაულის ადგილების შემოწმებით და ასევე გამოვკითხეთ რამოდენიმე მსხვერპლი - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსარჩელები. ვინაიდან სოფლებში ვიზიტები მხოლოდ ადგილის შესწავლას ითვალისწინებდა, სასამართლოს მოსარჩელებთან უფრო მეტი სატელეფონო ინტერვიუ ჩავწერეთ, გავესაუბრეთ 244 ადამიანს, ყველა მათგანს აქვს დოკუმენტირებული საქმე და ბევრი მათგანი მძიმე დანაშაულის მსხვერპლი გახდა და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ჩვენი ნიმუში არის სამხრეთ ოსეთის და რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი დანაშაული და არ მოიცავს საქართველოს მიერ ცხინვალში სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულს. ამ მხრივ, ჩვენი ნიმუში ეჭვს არ ბადებს საქართველოს მხარის განცხადების სისწორეზე, თითქოს მხოლოდ რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაიდინეს დანაშაული ომის დროს. ამის გამო, მოსალოდნელია რომ ჩვენი რესპონდენტები ქართველმა გამომძიებლებმა პირველ რიგში დაკითხეს.

### ***ადგილზე ჩატარებული შემოწმება***

2010 წლის ნოემბრის დასაწყისში, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის მკვლევარები კვლავ ჩავიდნენ ყოფილი ბუფერული ზონის რამოდენიმე სოფელში სადაც 2008 წლის შემოდგომაზე რამოდენიმე თვის

განმავლობაში იდგა რუსული ჯარი. ვიზიტის მიზანი იყო ადგილზე შეგვემოწმებინა ის დანაშაულის სცენები და ადგილობრივი თვითმხილველები დაგვეკითხა სოფელში ჩატარებულ საგამომიებო პროცედურების შესახებ. გორისა და ქარელის რაიონების ოთხ სოფელში - დვანი, კორბი, გუგუთიანთკარი და კოშკა (ეს სოფლები იმიტომ შეირჩა რომ, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტსა და ადამიანის უფლებათა ცენტრს გააჩნდა დოკუმენტური მასალა 2008 წელს იქ ჩადენილი დანაშაულების შესახებ) - ვიზიტის დროს, დაიკითხა 10 ადგილობრივი მცხოვრები; ზოგიერთი მათგანი სავარაუდოდ იყო სერიოზული დანაშაულის მსხვერპლი, როგორცაა ტყვედ აყვანა, წამება და ოჯახის წევრების მკვლელობა, ისინი ასევე იყვნენ ევროპული სასამართლოს მოსარჩელე ოჯახის წევრები რომლებსაც სასამართლოში ადამიანის უფლებათა ცენტრი და საია წარმოადგენს. ყველა მათგანი ამტკიცებდა რომ ქართულ პოლიციას არ ჩაუტარებია საგამომიებო პროცედურები ადამიანების გარდაცვალების ადგილებზე, და რომ ერთ-ერთ სოფელში, არანაირი სასამართლო ექსპერტიზა არ ჩატარებულა თუმცა არის ეჭვი რომ ომის დროს იქ მოკლეს ადამიანები (სიკვდილის ფაქტები ციხეში ან სავარაუდოდ სასამართლოსგარეშე აღსრულების დროს).

რამოდენიმე რესპოდენტი სოფელ დვანში, რომელიც ანონიმურად გვესაუბრა, ამტკიცებდა რომ მის სოფელში არ ყოფილან გამომძიებლები, თუმცა საქართველოს მთავარი პროკურატურის საია-ში გაგზავნილი წერილი საპირისპიროს ამტკიცებს. წერილში ნათქვამი იყო რომ საგამომიებო პროცედურები ჩატარდა დვანშიც.

ჩვენი განსასჯელი არაა მთავარი პროკურორი შეცდა თუ სოფლის მოსახლეობამ მოგვაწოდა არასწორი ინფორმაცია. ზოგადად, რესპოდენტებს დაბალი წარმოდგენა აქვთ გამომძიებლის ეფექტურობაზე და ეჭვი აქვთ რომ გამომძიებლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან აღნიშნულ საკითხს.

### *სატელეფონო კვლევა*

სატელეფონო კვლევა ჩატარდა 2010 წლის 8-25 ნოემბერს. სამმა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ ქართველ მოსარჩელებს ევროპულ სასამართლოში, მონაწილეობა მიიღო ამ კვლევაში და ტელეფონით ესაუბრა 244 აპლიკანტს. საია ესაუბრა 126 ადამიანს, ადამიანის უფლებათა ცენტრი - 80-ს, და 42-ე მუხლი - 38-ს. მათ შემდეგი კითხვები დაუსვეს რესპოდენტებს.

- პოლიციელი/ გამომძიებელი/ პროკურორი თუ დაგიკავშირდათ ომის შემდეგ?
- დაკავშირების შემთხვევაში, დაგკითხეს თუ არა?
- თუ დაგკითხეს, როდის და რამდენჯერ?
- მიიღეთ მსხვერპლის სტატუსი?



- რამე წერილი თუ მიგიღიათ ან თუ დაურეკავთ თქვენთვის პოლიციას/გამომძიებელს/ პროკურორს მიმდინარე გამოძიების შესახებ ახალი ინფორმაციის გადმოსაცემად?
- წაგიყვანეს თუ არა დანაშაულის ადგილზე?
- თვითონ ეწვივნენ თუ არა დანაშაულს ადგილს?
- მოაგროვეს თუ არა მტკიცებულებები (სურათები, დაცლილი ვაზნები, სამედიცინო განცხადებები, სასამართლო ექსპერტიზის ანგარიშები, სიკვდილის ცნობები, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, სხვა)?
- თუ გასურთ რამე დამატებით გვაცნობოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით?

შედეგების განხილვისას, მიუხედავად იმისა რომ განმცხადებელთა უმრავლესობა ამტკიცებდა ევროპული კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევას, ისინი გავყავით ოთხ ჯგუფად მათი მტკიცებით ჩადენილი დანაშაულების მიხედვით.

ეს ჯგუფებია 1) სარჩელი სიცოცხლის უფლების დარღვევის შესახებ (ახლო ნათესავი იყო მოკლული), 2) ტყვეობა/იძულებითი შრომა (ბევრი ქართველი მოქალაქე ტყვედ აიყვანეს ომის დროს), 3) წამება/არაადამიანური მოპყრობა და 4) იძულებითი გადასახლება/საკუთრების დაკარგვა (გულისხმობს როგორც სამხრეთ ოსეთიდან იძულებით დევნილობას, ვისაც მცირე შანსი აქვს უკან დაბრუნების, ასევე დროებით გადაადგილებული ადამიანები, რომელთა ქონება მოიპარეს, გაანადგურეს ან დააზინაეს). ამ სახით დაჯგუფებით, ქართული გამოძიების სტრატეგიული არჩევანი უფრო ცხადი გახდა, მაგალითად, ადგილობრივი გამომძიებლები რომელ დანაშაულებებს ანიჭებდნენ მეტ პრიორიტეტს.

კვლევის ზოგადი შედეგი იყო შემდეგი.

განმცხადებლის ტიპი	მთლიანად	პოლიცია დაუკავშირდა	დაკითხეს	გამომძიების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს	მიანიჭეს მსხვერპლის სტატუსი	დანაშაულის ადგილის შესწავლა <sup>12</sup>	სხვა ტიპის მტკიცებულებების შეგროვება
მთლიანად	244 (100%)	64 (26%)	61 (25%)		58 (24%)		7 (3%)
სიცოცხლის უფლება	76 (100%)	28(37%)	26(34%)		27 (35%)		7 (9%)
ტყვეობა/იძულები	34 (100%)	32 (94%)	32 (94%)		28 (82%)		

<sup>12</sup> არ ეხება იმ დანაშაულებს, რომლებიც სავარაუდოდ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იყო ჩადენილი, და სადაც ქართველ გამომძიებლებს არა აქვთ შესვლის უფლება. მორგოვილი მასალებით შეუძლებელია, დადგინდეს დანაშაულის ჩადენის ადგილი, მაგრამ საია-ს 126 განმცხადებლის საქმე, რომელთაგან 47 (37%) ამტკიცებს რომ დანაშაულები მოხდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ეს ციფრი სავარაუდოდ იძლევა მთლიანი სურათის გონივრულ მინიმუმას.

თი შრომა							
წამება/არაადამიანური მოპყრობა	18 (100%)	1 (5%)	1 (5%)		2 (11%)		
იძულებითი გამოსახლება/ქონების დაკარგვა	116 (100%)	3 (3%)	2 (2%)		1 (1%)		

---

რათქმუნდა, აღნიშნული კვლევა აჩვენებს მხოლოდ იმას თუ გამოძიების რა ზომები იყო მიღებული. მიუხედავად იმისა რომ რესპონდენტებს ზოგადად არ ჰქონდათ ინფორმაცია მიმდინარე გამოძიებაზე, როგორცაა დანაშაულის ადგილის კვლევა და სხვა ტიპის მტკიცებულებების შეგროვება (ჩვენებების მოგროვება), ეს არ ნიშნავს რომ გამოძიება არ ჩატარებულა. ალბათ, მოსარჩელებს არ ეცნობათ მიმდინარე პროცედურების შესახებ; ალბათ მათ დაავიწყდათ რომ ინფორმაცია მიაწოდეს ან ალბათ სხვადასხვა მიზეზთა გამო არ სურდათ მათთვის ცნობილი ინფორმაციის ჩვენთვის მოწოდება. მიუხედავად ყველაფრისა, კვლევა მოიცავს რამოდენიმე მეთოდს რომელიც ჩვენი აზრით, გვაძლევს უფლებას წინასწარი დასკვნები გავაკეთოთ ქართული გამოძიების შესახებ:

- გამოძიების პროცესის შესახებ გამჭირვალობის/განახლებადი ინფორმაციის ნაკლებობა. არცერთ რესპონდენტს არ მიეწოდებოდა ინფორმაცია გამოძიების პროცესის მიმდინარეობის შესახებ;<sup>13</sup> თუმცა ეს ნაწილობრივ იმის გამოხატველია რომ მსხვერპლებს ჰქონდათ შეზღუდული უფლება საგამომიებო პროცესის დროს.
- საგამომიებო ზომების ნაკლებობა, როგორცაა დანაშაულის ადგილების კვლევა, სასამართლო და სამედიცინო ექსპერტიზის მტკიცებულების მოგროვება, ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული პროცედურები შესაძლოა

<sup>13</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლი არეგულირებს მსხვერპლის ინფორმირების უფლებებს და შესაბამისად გამოძიების პროცედურების გამჭირვალობას: „ინფორმაცია და განმარტება:“

1. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ დაზარალებულს წინასწარ უნდა შეატყობინოს შემდეგი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო:
  - ა) ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან;
  - ბ) წინასასამართლო სხდომა;
  - გ) სასამართლოს მთავარი სხდომა;
  - დ) სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ;
  - ე) სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა.
2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ინფორმაცია დაზარალებულს წერილობით უნდა გადაეცეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი საშუალებით გადაეცემა გონივრულია მოცემულ გარემოებებში და საკმარის დროს იძლევა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.
3. პროკურორი ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადება.

ისე ჩატარებულიყო რომ რესპონდენტებს არ ეცნობათ ამის შესახებ, მხოლოდ გამოკითხულთა 3% განაცხადა რომ დაკითხვის გარდა სხვა პროცედურებიც ჩატარდა და არავის ჰქონდა ინფორმაცია დანაშაულის ადგილების კვლევის შესახებ.

- მცირე რაოდენობით მოსარჩელებს (26%) დაუკავშირდნენ და დაკითხა პოლიციამ. ის ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ საყოველთაო სქემას, არიან ტყვეები, რომლებიც ერთად იმყოფებოდნენ ცხინვალის ციხეში 2008 წლის აგვისტოში. ტყვეობის ფაქტი იმ დროს ადგილობრივ მედიაში აქტიურად შუქდებოდა და მათი უმრავლესობა (94%) დაიკითხა გათავისუფლების თანავე. მაგრამ ამ ჯგუფის გარდა სხვა ადამიანების, მხოლოდ 13% დაუკავშირდა და დაკითხა პოლიციამ.
- გამოძიებამ პრიორიტეტი მიანიჭა შემდეგ დანაშაულებებს: 1) ტყვეობა (განმცხადებელთა 94% დაუკავშირდნენ და დაკითხეს), 2) მკვლელობა (სიცოცხლის უფლების დარღვევის მუხლით მოსარჩელეთა 37% დაიკითხა), 3) წამება/არაადამიანური მოპყრობა (5% დაუკავშირდნენ), და ბოლოს 4) იძულებითი გამოსახლება/ საკუთრების დაკარგვა (3% დაუკავშირდნენ).



ქართული სოფელი ტყვიავი: 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ავიადარტყმის შედეგად განადგურებული საცხოვრებელი სახლი.

იმის გათვალისწინებით რომ ამ 244 მოსარჩელედან ალბათ ყველა მსხვერპლი არაა, მაგრამ მძიმე დანაშაულის თვითმხილველები არიან, და მათ შესაძლოა საჭირო ინფორმაცია ჰქონდეთ დამნაშავეებთან დაკავშირებით როგორც რუსული ასევე ოსური სამხედრო სარდლობის, ჯარისკაცების და სამხედრო სტრუქტურების მხრიდან, ის ფაქტი რომ მათი მხოლოდ 13%-ია (ყოფილი ტყვეების გარდა)

დაკითხული, უკვე ბევრ რამეს ცხადყოფს. ალბათ ყველა ელის რომ ძირეულმა გამოძიებამ 1) დაკითხა მსხვერპლთა/თვითმხილველთა უმეტესობა იმისათვის რომ დადგენილიყო ყველაზე მნიშვნელოვანი თვითმხილველები და 2)ჩაატარა სიღრმისეული ინტერვიუები და ფაქტების მოგროვების პროცედურები ნიმუშად შერჩეულ საქმეებში მაინც. თუმცა, მხოლოდ 3 რესპონდენტი (1%) აცხადებს რომ ერთზე მეტად დაკითხა.

თვითმხილველების დაკითხვის შემდეგ, დანაშაულის ადგილებზე მტკიცებულებების შეგროვება როგორც წესი ითვლება გამოძიების ყველაზე მნიშვნელოვან საფეხურად; მიუხედავად ამისა, 244 რესპონდენტიდან არცერთი არ ამტკიცებს რომ მსგავსი პროცედურები ჩატარდა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს მთავარი პროკურატორის წერილს რომელიც საიას გაუგზავნეს. მთავარმა პროკურორმა წერილში დაწერა იმ სოფლების სია სადაც დანაშაულის ადგილების შემოწმება მოხდა. დიდი რაოდენობით საქმეებში (დაახლოებით 35-40%) დანაშაულის ადგილის ვერ შემოწმება ახსნილია იმ ფაქტით რომ ეს ადგილების სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეა და შესაბამისად ქართველ გამოძიებლებს არ შეუძლიათ იქ შესვლა. მიუხედავად ამისა, დანაშაულის ადგილების შემოწმებლობა კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც შეთანხმდა ბუფერული ზონის სოფლებში დანაშაულების ადგილების შემოწმების დროს სხვადასხვა თვითმხილველის განცხადების საფუძველზე.

გამოძიებასთან დაკავშირებული მეორე საკითხი არის დროებითი განზომილება: როდის დაიკითხნენ რესპონდენტები? ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოდგენას გვიქმნის გამოძიების მსვლელობის შესახებ თვითმხილველების/მსხვერპლთა დაკითხვის პროცედურების მიხედვით და რომელ დარღვევებს მიეცა პრიორიტეტი.

განმცხადებლის ტიპი	დაკითხულია	2008 წ.აგვისტო- სექტემბერი	2009	2010	გაურკვეველია
ტყვე	32 (100%)	32 (100%)			
სიცოცხლის უფლება	26 (100%)	11 (42%)	4 (15%)	9 (35%)	2 (8%)
წამება	1 (100%)			1 (100%)	
იძულებით გადასახლება/ქონების დაკარგვა	3 (100%)				3 (100%)
მთლიანად	62 (100%)	43 (69%)	4 (6%)	10 (16%)	5 (8%)

--	--	--	--	--	--

ამ ცხრილის მიხედვით, როგორც ჩანს პრიორიტეტი მიენიჭათ ყოფილ ტყვეებს მაშინ როცა მკვლელობის მიმართ ინტერესი შეფერხდა 2009-2010 წწ; რეალურად, 2010 წელს უფრო მეტი ინტერვიუები გაიმართა. 2010 წელს ინტერვიუების 35% გაიმართა მაშინ როცა 2009 წელს მხოლოდ 15% იყო დაკითხული. ამ კუთხით, რიცხვები ადასტურებს საქართველოს მტკიცებულებას რომ გამოძიება მიმდინარეობს. თუმცა, პოტენციური შესაბამისი თვითმხილველების რიცხვის კონტექსტში, რომლებიც პირველ ცხრილში დაიკითხნენ, მხოლოდ რამოდენიმე ინტერვიუ დაემატა 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში წამოწყებულ ინტერვიუების პირველ ტალღას. მაშინ როცა, თვითმხილველთა ინტერვიუების 69% განხორციელდა სწორედ 2008 წ. აგვისტო-სექტემბერში, და მხოლოდ ინტერვიუების 6% და 16% განხორციელდა 2009 -2010 წწ. შესაბამისად, გამოძიების შენელებული პროცესი ბადებს კითხვას რამდენად ადეკვატური რესურსები იყო თავმოყრილი ამ საგანგებო და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საქმის გამოძიებაზე.

### **დასკვნა**

ბოლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმცხადებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია ნათელს ხდის რომ საქართველოს ხელისუფლება ერთის მხრივ უუნაროა მეორეს მხრივ სურვილი არ აქვს ჩაატაროს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სავარაუდოდ ჩადენილი საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულებებზე ეფექტური გამოძიება. საქართველოს უნარი არმესწევს გამოძიებები აწარმოოს სამხრეთ ოსეთსა და რუსეთში, რაც იმას ნიშნავს რომ როგორც სავარაუდო დამნაშავეები და ასევე მტკიცებულების მნიშვნელოვანი ნაწილი არის მის გამოძიებლების მოქმედების არეალის მიღმა. ამ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე სავარაუდოდ უნდა გამოძიონ, და საქართველოს ხელისუფლების მიერ აღწერილი ომის საერთო სქემის ფარგლებში ხვდება (დამნაშავეები ძირითადად ოსები და რუსები იყვნენ), საქართველოს, როგორც ჩანს, სურვილი არ აქვს ჩაატაროს ის პროცედურები რაც მოთხოვნილია რომის სტატუტის მე-17 მუხლში: „...იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში დადგინდეს უუნარობა, სასამართლო ითვალისწინებს, შესწევს თუ არა სახელმწიფოს უნარი, ეროვნული სასამართლო სისტემის მთლიანი ან არსებითი მოშლის ან მისი არარსებობის გამო, მიიღოს თავის განკარგულებაში ბრალდებული ან საჭირო მტკიცებულება ან ჩვენება, ანდა თუ სხვა მიზეზის გამო არ ძალუძს სამართალწარმოების განხორციელება“. გამოძიება, როგორც ჩანს, ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, მხოლოდ რამოდენიმე მოწმეა დაკითხული მას მერე რაც დაკითხვების პირველი რაუნდი დამთავრდა ომის დასრულებიდან მოკლე დროში. არსებობს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ გამოძიების ეფექტურობასა და

საფუძვლიანობაში ვინაიდან ძირითადი საგამომიებო პროცედურები (როგორცაა დანაშაულის ადგილის შემოწმება) ბევრ შემთხვევაში არ ჩატარებულა. თუ საგამომიებო პროცედურები ჩატარდა, და ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცია არასრულია, მაშინ როგორც ჩანს პრობლემა არსებობს გამოძიების გამჭვირვალობაში და თვითმხელველბთან კომუნიკაციაში. ამას დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ რომ საქართველოს სამართალდამცველ ორგანოს არ შეეძლოთ ჩვენთან შეხვედრა და ეპასუხათ ჩვენს ელექტრონულ და საფოსტო წერილებზე.


ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რჩება: სამართლიანობის ინტერესს ეწინააღმდეგება ის ფაქტი რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო გამოძიება? ეს კომპლექსური კითხვაა და ძნელია დაადგინო კრიტერიუმები რომელიც პასუხის გაცემაში დაგვეხმარება. თუ გამოძიების დაწყება რამენაირად ხელს შეუშლის მომავალში ეროვნულ დონეზე დაწყებულ გამოძიებებს ორივე დაინტერესებულ ქვეყანაში, მაშინ ერთი სცენარი უნდა განვიხილოთ. მეორე საკითხია, თუ გამოძიების დაწყება ერთ-ერთ ან ორივე ქვეყანას ჩააგდებს უარყოფის, იზოლაციისა და ნეგატიური პოლიტიკური განვითარებების მდგომარეობაში რომელიც შორსაა კანონის უზენაესობისაგან და საერთაშორისო ადამიანის უფლებების პატივისცემისაგან. პირველ სცენართან დაკავშირებით, რუსეთისა და საქართველოს პასუხისმგებლობა მათსავე ტერიტორიებზე შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, რომლებიც უკვე 20 წელზე მეტია გრძელდება,<sup>14</sup> არის ძალიან სუსტი, და ძალიან ძნელია დაადგინო რა დგას ამ ყველაფრის უკან. ამის საპირისპიროდ, თუ სისხლის საერთაშორისო სასამართლო დაიწყებს გამოძიებას, ეს იქნება ის იშვიათი მაგალითი როდესაც სწორი იურიდიული პროცესი ჩატარდება იმ რეგიონში სადაც დღემდე სერიოზული დანაშაულებებისათვის უამრავი ადამიანი დაუსჯელია. ამ მიზნით, საერთაშორისო სასამართლოს შესვლა შეიძლება იყოს პრევენციული ზომა, გაფრთხილება რომ მომავალში სამხედრო პირებმა აღარ ჩაიდინონ დანაშაული.

საერთაშორისო სასამართლოს იურიდიული ინტერვენციის შემთხვევაში, გამოძიების ფორმით, ძალიან ძნელია წინასწარ განსაზღვრო შედეგები. ალბათ, ის გააძლიერებს ლიბერალურ ძალებს რომ დაძლიოს დაუსჯელობა და კორუფცია, ის ალბათ გამოიწვევს ავტორიტარულ რეაქციას. ეს ალბათ იქნება მოკლევადიანი უარყოფითი ეფექტი და გრძელვადიანი დადებითი ეფექტი. და იქნებ არც. მაგრამ, ეს დილემა მიდის სწორედ საერთაშორისო სასამართლოს არსებობის გამართლებასთან. რომის სტატუტის მოწერით, საერთაშორისო საზოგადოების დიდმა ნაწილმა გამოხატა რწმენა რომ საერთაშორისო სამართალი არ უნდა შეეწიროს პოლიტიკურ

---

<sup>14</sup> ჩეჩნეთში ორი მთავარი შეიარაღებული კონფლიქტი; ორი შეიარაღებული კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში; ორი მთავარი შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღში; შეიარაღებული კონფლიქტი ინგუშეთ/ჩრდილოეთ ოსეთში; შიდა შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში და მიმდინარე დაბალი ინტენსივობის მქონე შეიარაღებული ამბოხებები ჩრდილოეთ კავკასიის დიდ ნაწილში.

მიზანშეწონილობას. როდესაც სასამართლო ლიბის თემას განიხილავდა, გაეროს უშიშროების საბჭომ იგივე აზრი გააჟღერა. გვჯერა რომ რეგიონში, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში ევროპაში ყველაზე საშინელი სისასტიკე იხილა, საერთაშორისო სამართლის შესვლა დაეხმარებოდა მათ ახალი იურიდიული და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას კავკასიაში რომელიც უფრო მეტად მოვიდოდა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციისა და რომის სტატუტის ღირებულებების შესაბამისობაში.



ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი  
კირკეგატა 5, N-0153 ოსლო  
ტელეფონი: (+47) 22 47 92 02 ფაქსი: (+47) 22 41 60 76  
ელ-ფოსტა: [nhc@nhc.no](mailto:nhc@nhc.no) – [www.nhc.no](http://www.nhc.no)